საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1391 2024 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

გ. კაკაურიძის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“, საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე - „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

„საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტზე - „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2025-2028 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენებაზე -

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე, ასევე წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საქართველოს კანონის პროექტზე - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე - გიორგი კაკაურიძე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე